დადგენილება № 02/2025 – სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

დადგენილება № 02/2025
თარიღი: 14 თებერვალი, 2025 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და 57–ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის (№53; 11.02.2025 წ, თანდართულია კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N 01; 27.01.2025 წ.) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 14 თებერვლის №01 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის 2025 წლის სამოქმედო გეგმები, ფაკულტეტის მიმართულებებისა და ლაბორატორიების მიხედვით, თანდართული დანართების შესაბამისად;
2. უზრუნველყოფილი იქნეს შიდასაკონსერვატორიო სტუდენტური საკომპოზიტორო და მუსიკოლოგიური კონკურსებისთვის საპრიზო ფონდის გამოყოფა 3500 (სამიათას ხუთასი) ლარის ოდენობით, დადგენილი წესით.
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, № 64).
5. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი